პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 7 მაისი, 1942 წ. № 106 (6422). ფასი 15 კაპ.

ჩაღდება პარტიზანული ომის ცეცხლი

პოლარული მურმანსკიდან მზიურ სევასტოპოლამდე, მთელს უზარმაზარ ფრონტზე და მტრის მიერ დროებით დაკავებული ტერიტორიის მთელ სიღრმეში პარტიზანული ომის ცეცხლი გიზგიზებს. ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებით აღფრთოვანებულ პარტიზანულ მოძრაობას კიდევ უფრო მრისხანე ძალა ემატება,

ახალ, უმაღლეს ფაზაში — წითელი არმიის ნაწილებთან ერთად საერთო შეტევითი მოქმედების პერიოდში, გერმანელი ფაშისტი ავაზაკებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის გაწმენდის პერიოდში ჩადგა.

პარტიზანული რაზმები მრისხანე შეიარაღებული ძალაა ფაშისტთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. ეს ხალხუ-

...

პარტიზანი ქალებისა და კაცების მოქმედების რაიონები. ზამთრის სუსხიანი პირობების მიუხედავად, პარტიზანებმა ოკუპანტებისაგან გასწმინდეს მრავალი რაიონი. ცალკეულ ადგილებში პარტიზანებმა მტერს ათობით სოფელი წაართვეს. ბევრ რაიონში პარტიზანებმა იმდენად მტკიცედ მოიკიდეს ფეხი საბჭოთა მიწა-წყალზე, რომ მტერი ცხვირის შეყოფასაც კი ვერ გაბედავს მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

სამამულო ომი ახალ პერიოდში — ჰიტლერული უწმინდურებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების პერიოდში ჩადგა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ პარტიზანული ომიც

...

საპირველმაისო ბრძანება.

„პარტიზანებმა — კაცებმა და ქალებმა — გააძლიერონ პარტიზანული ომი გერმანელ დამპყრობთა ზურგში, ანგრიონ მტრის კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის საშუალებანი, ანადგურონ მტრის შტაბები და ტექნიკა, არ დაზოგონ ვაზნები ჩვენი სამშობლოს მჩაგვრელთა მოსასპობად!" სტალინის ბრძანებით შეიარაღებულებმა მაღლა ასწიეთ ოკუპანტებთან ბრძოლის დროშა, განდევნეთ ისინი სამშობლოს საზღვრებიდან!

ლენინის უძლეველი დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ, გამარჯვებისაკენ!

„პრავდის" მოწინავე, 6/V.

წითელი არმიის უმაღლეს უფროსთა შემადგენლობისათვის სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიენიჭოთ წითელი არმიის უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის ქვემოჩამოთვლილ პირებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაწესებული სამხედრო წოდებანი:

ავიაციის გენერალ-ლეიტენანტის წოდება

ალექსანდრე ევგენის-ძე **გოლოვანოვს.**

ავიაციის გენერალ-მაიორის წოდება

ევგენი თეოდორეს-ძე **ლოგინოვს**

ნიკოლოზ ივანეს-ძე **ნოვოდრანოვს**

მარკოზ ივანეს-ძე **შეველიოვს.**

საინჟინრო-საავიაციო სამსახურის გენერალ-მაიორის წოდება

ივანე ვასილის-ძე **მარკოვს.**

საინტენდანტო სამსახურის გენერალ-მაიორის წოდება

ალექსანდრე ივანეს-ძე **ლიუბიმოვს.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ი. სტალინი.**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი **ი. ჩადაევი.**

მოსკოვი, კრემლი. 1942 წ. 5 მაისი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

6 მაისის დილის ცნობა

5 მაისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

* * *

გააფთრებულ ბრძოლებში, რაც ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის (კალინინის ფრონტი) ქუჩებში მოხდა, მებრძოლებმა ამხ. რუდაკოვის მეთაურობით მოსპეს 400 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 2 ქვემეხი, 2 ნაღმსატყორცნი, 1 ტანკი და ააფეთქეს საწყობი საომარ მასალიანად. ფრონტის სხვა უბანზე ჩვენმა კავალერისტებმა მტერი განდევნეს 3 დასახლებული პუნქტიდან.

* * *

...

ეს პირდაპირ გასაკვირველია. რა მაგრად გვიტევენ! ჩვენ სავსებით მოკლებული ვართ ძილს. ათეულში კიდევ რამდენიმე კაცია მოკლული.

7 აპრილი. დილით სრული სიწყნარე იყო. უეცრად შუადღისას რუსებმა არტილერიამ დაგვიშინა. ერთბაშად 4 ყუმბარა პირდაპირ მოხვდა ჩვენს პოზიციებს. ბევრია დაჭრილი და მოკლული. გვორგ ბერგი ნამსხვრევმა დასჭრა. მრავალი ჯარისკაცი საშინლად დაფრთხა, შაშხანები დააგდეს და ტყისაკენ გაიქცნენ".

* * *

...

6 მაისის საღამოს ცნობა

...

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მისალმება ამხანაგ სტალინისადმი

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ! სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებას, რომელმაც თავი მოიყარა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მრისხანე ჟამს, სურს გამოსთქვას თქვენს წინაშე, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ღრმა აღტაცება თქვენი ბრძნული და მამაცური მოღვაწეობით, რომელმაც საბჭოთა კავშირისათვის უზრუნველჰყო მთელი რიგი შესანიშნავი გამარჯვებანი მტერზე და ...

შეუწყობს რაც შეიძლება ... ნას აღდგენილი ... ხრეთის რაიონები ... ლი არმია ... გან ათავისუფლებს. საბჭოთა მეცნიერები ახალ აღმოჩენებს მიაღწევენ, ახალ მეთოდებსა და სამკურნალო საშუალებებს მისცემენ სამხედრო მედიცინას. საზოგადოებრივი მეცნიერების მუშაკები და საბჭოთა კავშირის ყველა მეცნიერნი მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების საფუძ...

...

ინდუსტრიალიზაციის სტალინურმა პოლიტიკამ ახალი სამრეწველო კერები შექმნა, სადაც ახლად აღმოჩენილი ნედლეულისა და სათბობის მარაგი საფუძველი გახდება შემდგომი სულ უფრო მეტი მძლავრი სამრეწველო აღმავლობისა, ლითონის, მანქანებისა და იარაღის განუწყვეტლივ ზრდადი წარმოებისა, ყოველივე იმისა, რაც საჭიროა ბრძოლისა და გამარჯვებისათვის. მეცნიერება ხელს

... მეცნიერებათა აკადემიისაგან, რომელიც ამაყობს თქვენი დიდი სახელით საპატიო წევრთა სიაში, უმხურვალესი სალამი და საუკეთესო სურვილები. ჩვენი გული, ჩვენი გონება, ჩვენი ცოდნა და ჩვენი ძალები, ჩვენი სიყვარული და ერთგულება გეკუთვნით თქვენ, ეკუთვნის სამშობლოს, ეკუთვნის მტრის განადგურების კეთილშობილურ საქმეს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

სვერდლოვსკი, 4 მაისი (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება. მის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა 70-მდე ნამდვილი წევრი აკადემიისა და 40-ზე მეტი წევრი-კორესპონდენტი. მათ შორის არიან ჩვენი ქვეყნის ფრიად თვალსაჩინო მეცნიერები: აკადემიკოსები კომაროვი, ობრუჩევი, ბაიკოვი, ბარდინი, ვინოგრადოვი, იოფე, ...

ცანა—სათავეში ჩაუდგეს ნოვატორთა მოძრაობას მეცნიერებისა და წარმოების დარგში. საბჭოთა კავშირის მთავრობამ რწმენა გამოსთქვა, რომ გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მრისხანე ჟამს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია ღირსეულად შეასრულებს თავის მაღალ პატრიოტულ მოვალეობას სამშობლოს წინაშე. ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ...

...

დიადი მიზანია. მეცნიერება უნდა დაეხმაროს სამშობლოს, უნდა დაეხმაროს წითელ არმიას. ეს არის მისი პატრიოტული მოვალეობა და ჩვენ ეს მოვალეობა ბოლომდე უნდა შევასრულოთ. ჩვენს მუშაობას მზრუნველური ყურადღებით ადევნებს თვალყურს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი.

აკადემიკოსი კომაროვი აკადემიის სახელით დიდ მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ სტალინს და მადლიერების გრძნობას გამოსთქვამს მისდამი იმ განსაკუთრებული ყურადღებისათვის, რომელსაც იგი აკადემიის ცხოვრებასა და საქმიანობას უთმობს.

ამ უკანასკნელ ხანს, განაგრძობს აკადემიკოსი კომაროვი, მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტთა საქმიანობის შემდგომი ყოველმხრივი გაშლის შესახებ, რაც მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის ძლიერების განმტკიცებისაკენ. ამხანაგმა სტალინმა აკადემიას დაუსახა ამო-

... ფაშიზმთან მთელი პროგრესიული კაცობრიობის ბრძოლის საერთო საქმეში.

დღის წესრივის დამტკიცების შემდეგ საერთო კრება იწყებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის 1942 წლის გეგმის განხილვას. მოხსენებით გამოვიდნენ აკადემიკოსი იოფე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვოლფკოვიჩი, აკადემიკოსი ტერპიგორევი, ლ. ორბელი, სტეფანოვი, ვოლგინი.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ამხ. ვ. ლ. კომაროვის წინადადებით საერთო კრება ყველა დამსწრეთა მქუხარე ტაშის გრიალში ადგენს მისალმებით მიმართოს ამხანაგ სტალინს. მისალმების ტექსტს კითხულობს აკადემიკოსი პრიანიშნიკოვი.

ამით მთავრდება დილის სხდომა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საღამოს სხდომაზე დიდი მოხსენებით თემაზე „საბჭოთა ხალხის სამამულო ომი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ამოცანები" გამოვიდა პროფესორი გ. ფ. ალექსანდროვი.

ვ. მ. მოლოტოვის მისასალმებელი დეპეშა პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ე. რაჩინსკისადმი

პოლონეთის რესპუბლიკის ნაციონალური დღესასწაულის დღისათვის —3 მაისისათვის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ ე. რაჩინსკის:

„პოლონეთის რესპუბლიკის ნაციონალური დღესასწაულის გამო საბჭოთა მთავრობის სახელით ვუსურვებ პოლონელ ხალხს ყოველივე სიკეთესა და წარმატებას იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი ეწევა გერმანელი ფაშისტი დამმონებლებისაგან განთავისუფლებისათვის და თავისუფალი პოლონეთის აღორძინებისათვის".

ბ-ნ ე. რაჩინსკის საპასუხო დეპეშა ვ. მ. მოლოტოვისადმი

ვ. მ. მოლოტოვის მისასალმებელი დეპეშის პასუხად ბ-მა ე. რაჩინსკიმ შემდეგი დეპეშა გამოგზავნა:

„პოლონეთის ნაციონალური დღესასწაულის გამო თქვენი აღმატებულების მიერ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის სახელით გამოთქმული გრძნობებით უაღრესად აღფრთოვანებული, ვთხოვ თქვენს აღმატებულებას მიიღოს პოლონეთის მთავრობის ულრმესი მადლობა იმისათვის, რომ თქვენ პოლონეთს უსურვეთ განთავისუფლება მტრის უღლისაგან, რომლის წინააღმდეგაც ჩვენ შეერთებული ძალებით ვიბრძვით".

ჯავშნიანი მატარებლის დაჯილდოებული მებრძოლებისათვის ორდენების გადაცემა

მოსკოვი, 5 მაისი („კომუნისტის" საკ. კორ.). დღეს კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში, ორდენები და მედლები გადასცეს წითელი არმიის რიგითა და მეთაურთა შემად-...

უფროს პოლიტხელ **ვ. პოლიუსუკს,** სამხედრო ფერშალ **დოლიძეს** და სახელოვანი ჯავშნიანი მატარებლის ეკიპაჟის სხვა წევრებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან მოსკოვთან ფაშისტთა ჯარების განადგურებაში მო-...

...

კომკავშირელმა მ. ჯოხაძემ დღიური დავალება 3.375 პროცენტით შეასრულა

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანამ აპრილის საწარმოო გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ცალკეული საამქროებიდან დაწინაურდა № 3 საამქრო (უფროსი ამხ. მამონტოვი): მან გეგმა შეასრულა 150 პროცენტით ...

ელექტროტექნიკური საამქროს ელექტრიკოსმა ა. პაპირიდიმ, 5 მაისს დღიური დავალება 1.316 პროცენტით შეასრულა. ამავე ქარხნის ორთასიანელმა ამწყობმა ზეინკალმა ...

...

თავდაცვის სახალხო კომისარიატში

180-ე მსროლელი დივიზიის და 38-ე გამანადგურებელი ავიაპოლკის გვარდიის ნაწილებად გარდაქმნის შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლებში 180-ე მსროლელმა დივიზიამ და 38-ე გამანადგურებელმა საავიაციო პოლკმა მამაცობის, გულადობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის ნიმუშები გვიჩვენეს. 180-ე მსროლელმა დივიზიამ და 38-ე გამანადგურებელმა ავიაპოლკმა, რომლებიც გერმანელ დამპყრობლებთან განუწყვეტელ ბრძოლებს ეწეოდნენ, უდიდესი ზარალი მიაყენეს ფაშისტთა ჯარებს და გამანადგურებელი დარტყმებით სპობდნენ მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, შეუბრალებლად ანადგურებდნენ გერმანელ დამპყრობლებს.

გერმანელ დამპყრობლებთან სამშობლოსათვის წარმოებულ ბრძოლებში გულადობის გამოჩენისათვის, სიმტკიცისა, მამაცობისა, დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის, პირადი შემადგენლობის გმირობისათვის გარდაქმნილ არიან:

1) 180-ე მსროლელი დივიზია—გვარდიის 28-ე მსროლელ დივიზიად—დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი **ი. ი. მისანი.**

2) 38-ე გამანადგურებელი საავიაციო პოლკი—გვარდიის 21-ე გამანადგურებელ საავიაციო პოლკად—პოლკის მეთაური მაიორი **პ. ი. ოუერედოვი.**

გარდაქმნილ დივიზიასა და საავიაციო პოლკს გვარდიის დროშები გადაეცემათ.

ფაშისტთა მხეცობა ყირიმში

ყირიმი, 6 მაისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). საკდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა იმ ჯგუფის მეთაურმა, რომელიც გერმანელების ზურგში მოქმედებს, განაცხადა:

— სადაც კი გავლა მოგვიხდა, ყველგან წავაწყდით იმ საშინელი მხეცობისა და ნგრევის კვალს, რასაც ჰიტლერელები სჩადიან. ყირიმში მოსვლა გერმანელებმა საყოველთაო ძარცვა-გლეჯით, დახვრეტით და ქალებისა და ქალიშვილების გაუპატიურებით აღნიშნეს.

მასობრივი დახვრეტის შემდეგ ჰიტლერელმა ჯალათმა—ფაშისტთა ყირიმის ჯარების სარდალმა გენერალმა მანშტაინმა ბრძანება გასცა, ზღვისპირა რაიონებიდან ყირიმის ველიან ნაწილში, სიმფეროპოლის იქით გადაესახლებინათ ყველა რუსი. რუსი მოსახლეობა მიწის მძიმე სამუშაოზე გაგზავნეს.

სოფლებში დარჩენილი მცხოვრებლები „თემებად" გააერთიანეს. მათთვის შემოღებულია ბატონყმური რეჟიმი. ყველა მამაკაცი, 15 საათის სამუშაო დღის შემდეგ, ვალდებულია საერთო შენობაში იმყოფებოდეს ოჯახისაგან განცალკევებით. ამ სახლიდან წასვლისათვის სასტიკად სჯიან. ერთი გლეხი მამასახლისის ნებადაურთველად რამდენიმე საათით წავიდა მეზობელ სოფელში. იქიდან დაბრუნების შემდეგ იგი საკომენდანტო სამმართველოში მიიყვანეს და ისე სცემეს, რომ სიკვდილის პირას მიაყენეს.

ჰიტლერელებმა ყველა გლეხს ჩამოართვეს პური. ვინც მუშაობს, იმათ დღეში 200 გრამ მარცვლეულს აძლევენ. ვინც თუნდაც ერთი წუთით დაიგვიანებს სამუშაოზე, იმას ამ საშიმშილო ულუფასაც ართმევენ ორი კვირით. თუ ჯარისკაცმა ვინმეს პურის ნატეხი დაუნახა, მაშინვე ართმევს. ამას წინათ რუმინელი ჯარისკაცები მისცვივდნენ ბავშვს, რომელიც შავ კვერს სჭამდა, და სცემეს მას.

მოსახლეობა საშინლად დამშეულია. ნაპირებთან თევზი ბევრია, მაგრამ მოსახლეობას ზღვასთან მისვლის უფლება არა აქვს. ვისაც კი ნაპირთან შეამჩნევენ, იქვე ხვრეტენ.

ქალაქებსა და სოფლებში დახურულია ყველა სკოლა; ჰიტლერელთა ბრძანებით ინტელიგენცია იძულებით გაგზავნეს მიწის სამუშაოთა შესასრულებლად.

ჰიტლერელებმა ყირიმის სამხრეთ ნაპირზე მდებარე საუცხოო სანატორიუმები გაძარცვეს. მთელი ფასეულობა და ავეჯი გაზიდეს. გერმანელთა მიერ დანგრეული სანატორიუმების მორებსა და ქვას ბლინდაჟებისათვის იყენებენ.

ყირიმის მოსახლეობას საშინლად სძულს ფაშისტი დამპყრობლები და ამიტომ ერთი წუთითაც არა სწყვეტს მათთან ბრძოლას. გერმანელებს არც დღისით და არც ღამით მოსვენებას არ აძლევენ ყირიმის მამაცი პარტიზანები, რომელთა რიგები განუწყვეტლივ იზრდება. ხოლო საბრძოლო გამოცდილება — მრავლდება. მოსახლეობას სწამს, რომ მოახლოებულია საზიზღარი გერმანელი ოკუპანტებისაგან ყირიმის განთავისუფლების ჟამი.

მ. ტუროვსკი

დაჭრილმა მებრძოლმა გერმანელთა იერიში მოიგერია

ჩრდილო - დასავლეთის ფრონტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გაზაფხულის ტალახით წალეკილი გზის მახლობლად დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა. გერმანელ ქვეითთა ასეული, რომელმაც იერიში მოიტანა ჩვენს მცირერიცხოვან ქვეგანაყოფზე, უკვე უახლოვდებოდა საბჭოთა სანგრებს.

მეავტომატის ცეცხლმა მწყობრიდან გამოიყვანა დაზგის ტყვიამფრქვევის გუნდი. მარტო იდგა იარაღი, რომელიც მტრის სროლას ვერ დაიზიანებინა.

როდესაც გერმანელები თითქმის უშუალოდ მოუახლოვდნენ ტყვიამფრქვევს, მათ უცბად თავს დაატყდა ცეცხლის თქეში. ფაშისტები ჩაწვნენ, მაგრამ საკმაო იყო წამომდგარიყვნენ, რომ ტყვიამფრქვევი კვლავ უშენდა.

ვინღა იყო ტყვიამფრქვევთან, რომელიც თითქოს სამუდამოდ დადუმდაო? ეს იყო კომუნისტი ბალიკოვი, ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი. იგი მარტო დადგა დაღუპული გუნდის ადგილას. კრიტიკულ მომენტში ტყვიამფრქვევთან მიხოხდა და 70 ფაშისტი გაჟლიტა.

გერმანელთა იერიში მოგერიებულ იქნა.

ი. დენისოვი

გვარდიელთა საბრძოლო პასუხი

მოსკოვი, 5 მაისი („კომუნისტის" საკ. კორ.). „გვარდიელთა საბრძოლო პასუხი" — ამ სათაურით გაზეთ „კრასნი ფლოტის" 5 მაისის ნომერში მოთავსებულია შემდეგი წერილი.

ბალტიელი გამანადგურებელი მფრინავები საბრძოლო საქმეებით უპასუხებენ დიდი ბელადისა და მხედართმთავრის — ამხანაგ სტალინის ბრძანებას. მათ მტკიცედ უპყრიათ ხელთ ინიციატივა, ულმობლად ანადგურებენ მტერს ჰაერში და მიწაზე. მაისის პირველი დღეები № ნაწილის გვარდიელებმა სამშობლოსადმი საბრძოლო საჩუქრებით აღნიშნეს.

მფრინავები გურიანოვი და ბედუკაძე ჰაერში იყვნენ, როდესაც მზვერავებმა ცნობა მოიტანეს, რომ მათკენ მიდიოდა ორი „მესერშმიტი-109". პირველად გერმანელებმა ასტეხეს სროლა დიდი დისტანციიდან. უფრო ახლოს რომ მივიდნენ, ჩვენმა შევარდნებმა სროლა აუტეხეს მტრის წინა თვითმფრინავს. იგი მაშინვე დაზიანდა და გაბრუნდა. მეორე ფაშისტი კი კვლავ მოძრაობდა პირდაპირ ჩვენ მანქანებზე. გურიანოვმა მას ტყვიამფრქვევის ჯერი დაუყარა. მტერმა პირდაპირ იერიშს ვერ გაუძლო და უკუიქცა. ამ დროს მას მცირე მანძილიდან აუტეხა სროლა ბედუკაძემ. „მესერშმიტმა" ბოლი გაუშვა, დაბლა დაეშვა და დაეცა.

ავიაგამანადგურებელთა მეორე ჯგუფი გვარდიელ დმიტრიევის მეთაურობით მოიერიშე თვითმფრინავებთან ერთად ასრულებდა დავალებას. სადგურ კ-ს რაიონში მათ მზის მხრიდან შემოუარეს მტრის ჯარების განლაგებას. გერმანელებმა საზენიტო არტილერიის გრიგალისებური სროლა ასტეხეს. მაგრამ ცუდად ისროდნენ. მტრის განადგურება იწყეს ჩვენმა მოიერიშე თვითმფრინავებმა, ხოლო მათ კვალდაკვალ მათმა მხლებელმა ავიაგამანადგურებლებმა.

ბალტიელთა კომბინირებული დარტყმის შედეგად დანგრეულია რკინიგზის სადგური და მოსპობილია რამდენიმე ავტომანქანა ტვირთიანად, გაჟლეტილია ათეულობით ჰიტლერელი ჯარისკაცები და ოფიცრები. მფრინავებმა ზახაროვმა და კულკოვმა ასევე წარმატებით შეასრულეს დავალება. მათ მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის ავტომატური საზენიტო ბატარია და ცეცხლი წაუკიდეს იმ ქარხნის შენობას, სადაც გერმანელები ცდილობდნენ მოეწყოთ თავისი სიმაგრეებისათვის საჭირო ბეტონის წარმოება.

ვ. ყარა-მურზა

გამოხმაურება ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის ნოტაზე საზღვარგარეთ

ჟენევა, 5 მაისი (საკდესი). სოფიიდან მიღებული ცნობებით, ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საშინელი მხეცობის შესახებ ამხანაგ მოლოტოვის ნოტის შინაარსი ბულგარეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა გაიგო მოსკოვის რადიოს გადაცემით, რასაც, აკრძალვის მიუხედავად, ბულგარეთში ყველგან ისმენენ. ბულგარეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეები აღშფოთებას გამოთქვამენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ბოროტმოქმედების გამო. ბულგარელი ინტელიგენციის წრეებში აღნიშნავენ, რომ ჰიტლერელთა მოქმედება ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში ნათლად მოწმობს, რომ ჰიტლერს დასახული აქვს სლავი ხალხების დამონების გულმოდგინედ მოფიქრებული გეგმა.

* * *

აქ მიღებულია ბულგარეთის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი კულტურული მოღვაწის წერილი, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია: „გულზე ცეცხლი გვედება, როდესაც ვტყობილობთ, რომ ჰიტლერელები საშინლად ბილწავენ დიდი რუსული კულტურის ძეგლებს, რომლებიც წმინდაა ყველა იმისათვის, ვისთვისაც ძვირფასია პუშკინის, ტოლსტოის, ჩაიკოვსკის უკვდავი სახელები. ბავშვობითვე შევეჩვიე, რომ ეს სახელები მოწიწებით წარმომეთქვა და მე, მოხუც ადამიანს, აღშფოთება შემიპყრობს ხოლმე, როდესაც ვტყობილობ თანამედროვე კანიბალების ბარბაროსული აქტების ამბავს. სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ვადევნებ თვალყურს რუსი ხალხის უმაგალითო გმირულ ბრძოლას, ხალხისა, რომელიც იცავს არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ ყველა სლავი ხალხების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

წერილში მოყვანილია უდიდესი აღშფოთების ფაქტები, რასაც მოუცავს ბულგარელი ახალგაზრდობის, კერძოდ სტუდენტობის ფართო წრეები, ჰიტლერელთა მხეცობის გამო. სოფიის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის კრებაზე გამოსულმა მთელმა რიგმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ ჩადენილი მხეცობა იმდენად შეუსაზარია, რომ აღემატება ისტორიაში დღემდე ცნობილ ყველა ბოროტმოქმედებას. „ყველა იმისათვის, ვინც უიმედოდ ბრმა არ არის, ცხადია,—განაცხადა ერთ-ერთმა სტუდენტმა,—თუ რა საფრთხეს უქადის ჰიტლერიზმი სლავ ხალხთა თვით არსებობასაც კი, პირველ რიგში ბულგარელ ხალხს".

პირველი მაისის დღესასწაული ლათინურ ამერიკაში

ნიუ-იორკი, 5 მაისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, საპირველმაისო დემონსტრაციაში მექსიკაში 100 ათასზე მეტი მშრომელი მონაწილეობდა. დემონსტრაციამ შემდეგი ლოზუნგებით ჩაიარა: „გაუმარჯოს დემოკრატიულ ქვეყნებს!", „სიკვდილი ფაშიზმს!". დემონსტრაციის ზოგიერთ მონაწილეს ამერიკული და საბჭოთა დროშები მიჰქონდა. არგენტინაში 1 მაისის დღესასწაულმა წელს განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. ორატორები, რომლებიც გამოვიდნენ მასობრივ საპირველმაისო მიტინგზე ბუენოს-აირესში, აღნიშნავდნენ, რომ არგენტინა უნდა შეუერთდეს რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს, უნდა გასწყვიტოს ურთიერთობა ღერძის სახელმწიფოებთან და უნდა უზრუნველყოს დემოკრატიის უშიშროება.

საპირველმაისო დემონსტრაციაში პრეზიდენტის სასახლის წინ ჰავანაში (კუბა) 100 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. კუბის პრეზიდენტმა ბატისტამ თავის საპირველმაისო სიტყვაში განაცხადა: „მე ჩემი ხალხის გრძნობებს გამოვთქვამ, როდესაც ვამბობ, ჩვენ ყველაზე მეტად რუსეთისა და ინგლისის გამარჯვება გვაინტერესებს-მეთქი. ევროპასა და აფრიკას აფთარი დაეცა, და ჩვენ სწორედ იქ უნდა გამოვიდეთ მის წინააღმდეგ".

საპირველმაისო სიტყვაში, რომელიც მთელ ბრაზილიას გადასცეს, ბრაზილიის პრეზიდენტმა ვარგასმა მოუწოდა ბრაზილიის მუშებს, მთელი თქვენი ძალები სამხედრო წარმოებას ვადიდებისაკენ მიმართეთო.

პანამის პრეზიდენტმა დე ლა გურდიამ რადიოთი წარმოთქმულ თავის საპირველმაისო სიტყვაში განაცხადა: ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ იმედი იქონიონ, რომ პანამის თითოეული მცხოვრები იმისათვის იბრძვის, რომ მოუვალ ციხე-სიმაგრედ გადააქციოს პანამის არხი.

დიდი საპირველმაისო დემონსტრაცია ლიონში

ლონდონი, 6 მაისი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, გამოირკვა, რომ 1 მაისს ლიონში დიდი საპირველმაისო დემონსტრაცია შესდგა. 50 ათასი კაცი გამოვიდა კარნოს მოედანზე მარსელიოზის სიმღერით. დემონსტრანტები გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს დე გოლს", „სახრჩობელაზე გაჰგზავნეთ ლავალი".

ინგლისის ჯარების მიერ მადაგასკარის ოკუპაციისათვის

ჟენევა, 6 მაისი (საკდესი). როგორც ჰავას-ოფის სააგენტო გადმოგვცემს, ლავალმა ამერიკის საქმეთა რწმუნებულ ტუკს ვიშის მთავრობის ნოტა გადასცა, რომელიც შეიცავს პროტესტს ინგლისის ჯარების მიერ მადაგასკარის ოკუპაციის გამო. ნოტა თავდება განცხადებით, რომ ვიშის მთავრობა პრეზიდენტ რუზველტს აკისრებს „ნაწილობრივ პასუხისმგებლობას" ინგლისის ძალების მიერ მადაგასკარის დაკავების შედეგებისათვის.

ჟენევა, 6 მაისი (საკდესი). როგორც ჰავას-ოფის სააგენტო გადმოგვცემს, პეტენმა და დარლანმა მადაგასკარის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების მთავარსარდალს უბრძანეს დაიცვას კუნძული ინგლისის ჯარების წინააღმდეგ.

ომი წყნარ ოკეანეში

(2-6 მაისის დეპეშების მიმოხილვა)

ბირმაში იაპონიის ჯარები კვლავ მიიწევენ ჩრდილოეთისაკენ. იაპონელები განსაკუთრებით აწვებიან მათ მიერ 29 აპრილს დაკავებულ ქალაქ ლაშიოს ჩრდილოეთით და მდინარე ირავადის აღმა. ლაშიოს რაიონში იაპონელები ბირმა-ჩინეთის გზატკეცილის გასწვრივ უტევენ და უკვე მიადგნენ ჩინეთის სა- [illegible]

ავიაციამ 13-ჯერ დაბომბა კუნძული. ამავე დროს იაპონელები მძიმე ქვემეხებს უშენენ კუნძულს. 4 მაისს საარტილერიო სროლა 5 საათს გრძელდებოდა განუწყვეტლივ. ამასთან იაპონელები ცდილობენ კუნძულზე გადასხდნენ და დაიკავონ იგი.

სამხარი მოქმედება გრძელდება ფილიპი- [illegible]

კადრი ფილმიდან „ცარიცინის დაცვა". სტალინური პრემიის ლაურეატი მსახიობი მ. გელოვანი სტალინის როლში.

დიდი პოემა ეკრანზე

„ცარიცინის დაცვა"

ბრესტის ზავის შემდეგ ხანმოკლე შესვენება 1918 წელს დამთავრდა. დაიწყო სამოქალაქო ომი რუსეთში სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ. დადგა მრისხანე 1918 წლის ცხელი დღეები. გენერლებმა კრასნოვმა და მამონტოვმა დონელი ყაზახების ამბოხების მოწყობით და კაიზერის გერმანიის მხარდაჭერით დაიწყეს ლაშქრობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და დონი დაიკავეს. ცარიცინის დაცვას მიეცა სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა. ცარიცინი რკალში აღმოჩნდა. მას შიგნიდანაც აფეთქება ემუქრებოდა, ვინაიდან მოღალატე ტროცკის ლაქიები ამზადებდნენ ცარიცინის კაპიტულაციას. ცარიცინის დაკარგვა კი ნიშნავდა ურალისა და დონის კონტრრევოლუციური ძალების შეერთებას და ამგვარად რკალის შემორტყმას საბჭოების წინააღმდეგ. ამით ჩრდილოეთი ჰკარგავდა პურის, თევზის, ხორცის, ნახშირისა და ნავთის მიწოდების საშუალებას სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონებიდან. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა განსაცდელში იყო. ამ დროს ცარიცინში ჩავიდა სახალხო კომისარი სტალინი, ლენინის მიერ გაგზავნილი. ცარიცინისაკენ გმირული ბრძოლით მოდის მეათე არმია, რომელიც 700-კილომეტრიან ძნელ გზას ლაშქრობით გადმოლახავს ახალგაზრდა ვოროშილოვის სარდლობით.

„ცარიცინის დაცვა" ისტორიული სიმართლით აღადგენს წარსულის გმირულ სურათებს და, როგორც დიდი ეპიური პოემა, სტალინის გენიალური მხედართმთავრობით გამარჯვების შთამაგონებელ ჰანგებს გვიმღერის. განუზომელია ამ ფილმის ძალა. ჩვენი დღეების ადამიანები მასში ხედავენ, თუ როგორ გვიბრძოლია ამ ოცდაოთხი წლის წინათ თანამედროვე კანიბალების პირდაპირი წინაპრების—კაიზერის გერმანიის იმპერიალისტთა თავით ფეხამდე შეიარაღებული ყაჩაღების წინააღმდეგ, როგორ გაგვიმარჯვნია მაშინ სუსტად შეიარაღებულ, ბრძოლაში ჯერ კიდევ გამოუცდელ საბჭოთა ადამიანებს, და კიდევ უფრო გვინერგავს რწმენას, რომ ახლა, როცა ჩვენს ქვეყანას, წითელ არმიას პირველხარისხოვანი ტექნიკა აქვს, როცა მას დიდი სტალინი ხელმძღვანელობს, ჩვენი გამარჯვება გარდუვალია, გარდუვალია პირსისხლიანი ფაშიზმის განადგურება. ფილმის ეს ძალა უდიდესი პლიუსია ნიჭიერი რეჟისორების ძმების ვასილიევების უკანასკნელი ნაშრომისა, რომლის მხოლოდ პირველი სერია მიდის ახლა ეკრანზე. მონუმენტური „ჩაპაევის" დამდგმელებმა ღრმა და ამაღელვებელი, დეტალებამდე უდიდესი სიზუსტით დამუშავებული შესანიშნავი ისტორიული ფილმი შექმნეს, რითაც ახალი განძი შეიტანეს საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში.

მთელი ფილმის მანძილზე დაძაბულია მაყურებლის ყურადღება. პირველივე კადრებს ისე გადავყავართ ბრძოლის ველზე, რომ დარბაზი გვავიწყდება. აი გერმანელთა არტილერია სეტყვასავით უშენს ჩვენი არმიის სანგრებს. სანგრებში მებრძოლების გვერდით არიან ვოროშილოვი და პარხომენკო. საშიშროა ტყვიამფრქვევის ატანა მაღლობზე, სანგრების წინ. არტილერიის ქარიშხალში ორ ჩვენს მებრძოლს ტყვიამფრქვევი მიაქვს, მაგრამ მაღლობს ვერ აღწევენ—იღუპებიან. მებრძოლები ღელავენ. წასვლა დაღუპვას უდრის. და უეცრად, როგორც გრიგალი, სანგრებიდან ამოიჭრა თვითონ სარდალი, ტყვიების ცეცხლში იგი უშიშრად გაექანა მაღლობთან მიტოვებული ტყვიამფრქვევისაკენ. გერმანელებმა იქით მიმართეს არტილერიის ცეცხლი. პარხომენკო თვალს ხუჭავს, როცა ამ სურათს უყურებს, და... „ფსიქიურ იერიშზე" გადმოსულ მრავალრიცხოვან გერმანელებს ვოროშილოვის ტყვიამფრქვევის ცეცხლი შეაჩერებს. მებრძოლების უდიდესი ძალის აღფრთოვანება ეკრანიდან უერთდება დარბაზში მსხდომი მაყურებლების სიხარულს.

დიდი ექსპრესიით და ბუნებრივობით ასახიერებს მსახიობი ბოგოლიუბოვი ვოროშილოვის როლს. დიდი სარდალი მან ჩვენს წინაშე ღრმა შთაგონებით და აქტიორული ოსტატობით დახატა.

ვოროშილოვის არმია კვლავ წინ მოიწევს დონის ველებით ცარიცინისაკენ.

ცარიცინში კი სტალინს ელიან. მოღალატე ნოსოვიჩები ცარიცინის კაპიტულაციას ამზადებენ. მატარებელი სადგურს მიუახლოვდა. პერონამდე ის არ მისულა. სტალინი ჩამოდის მატარებლიდან, ხიდიდან ათვალიერებს ქალაქს, ხედავს ცარიცინის მუშაკებს, რომლებიც ტრანსპარანტით გამოსულან მის შესახვედრად და მათკენ გასწევს. დამხვდურებმა არ იციან, თუ ვინ მოვიდა. სტალინი უბრალოდ, მშვიდად, მეგობრული კილოთი ესაუბრება შეკრებილებს.

იქვეა ცარიცინელი მუშაკი ქალი კატია დავიდოვა (მსახიობი ვ. მიასნიკოვა), სამშობლოს პატრიოტი. შემდეგ კი, როცა მატარებელი პერონს მიუახლოვდა, სტალინი ცარიცინელ მუშაკებთან ერთად გასწევს პერონისაკენ... და წარმოიდგინეთ გაოცება: სახალხო კომისრის შესახვედრად გამოსული ქალაქის ადმინისტრაცია და სამხედრო პირები, ნოსოვიჩები კომისარს ხედავენ, ხალხთან ერთად რომ მოდის. შეხვედრის გეგმები ჩაიშალა. სტალინი ხალხთან ერთად მოვიდა და პირველივე რეპლიკებით ახალი შეიტანა ცარიცინის ცხოვრებაში. ნოსოვიჩებმა მარცხი უკვე იგრძნეს.

მსახიობი გელოვანი დიდი აქტიორული დიაპაზონით, ბუნებრივი და ღრმა უშუალობით ასრულებს სტალინის როლს. მისი ჟესტი, მიმიკა, ხმა სადად, ისტორიული სიმართლით არის გადმოცემული. აი სცენა ვაგონში, თათბირი სტალინთან. ნოსოვიჩი „ამტკიცებს", რომ ცარიცინის დაცვა უაზრობაა, ვინაიდან იგი გარშემორტყმულია და სტრატეგია მოითხოვს მის ევაკუაციას. „სამხედრო სპეციალისტი", რომელსაც იმედი აქვს, რომ მისი სიტყვა გასჭრის, განაგრძობს მოღალატური გეგმის კომენტარებს რუკაზე. და როცა ნოსოვიჩი ამბობს, რომ სტრატეგია მოითხოვს ცარიცინის დატოვებას, სტალინი მას მშვიდად მისცემს რეპლიკას—ბურჟუაზიული! ნოსოვიჩი აღელვებულია. სტრატეგია მისთვის ისეთი სამხედრო მეცნიერებაა, რომელიც ერთნაირია ყველა დროისა და ხალხებისათვის.

—მთლად ასე არ არის,—ამბობს სტალინი. ის დინჯად მიდის რუკასთან და ალამტვერებს მოღალატის გეგმებს. გენიალური მხედართმთავრის სიტყვებში დიდი სამხედრო ცოდნა ერთბაშად ხდება აშკარა და ნოსოვიჩი გრძნობს, რომ მისი „სამხედრო სპეციალობა" ველარ გამოდგება. ეს მან მალე აღიარა დენიკინისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში, სადაც სწერდა, რომ ცარიცინს ველარ აიღებს, ვინაიდან იქ არის „...ენერგიული და ჭკვიანი კომისარი ჯუღაშვილი, რომელმაც გამოიცნო რა ჩემი ამოცანა და დამაპატიმრა მე, კოვალევსკი და მთელი საარტილერიო სამმართველო, ხელიდან გამომტაცა ინიციატივა". ასეთი იყო ისტორიული სინამდვილე. ცარიცინის დაცვა მტკიცე ხელმა ჩაიბარა.

თათბირი ვაგონში ვირტუოზულად არის მოფიქრებული და დამუშავებული. შესანიშნავია თათბირის დამთავრების შემდეგ სცენა ფანჯარასთან. ღამეა. სტალინი ფანჯარას აღებს. ისმის შორი სიმღერა—ოდესღაც განაწამები ბურლაკების ძველი სიმღერა — „ეი უხნემ". სტალინი ჩაფიქრდა. მისი ხმა უნებლიეთ შეუერთდა სიმღერას. და ისევ „სამხედრო სპეცებზე" ფიქრი—დეპეშით უნდა აცნობოს ამის შესახებ ლენინს. ისტორიულ დეპეშას ლენინისადმი სტალინი ზეპირად უკარნახებს, იქვე ღებულობს ლენინის პასუხს. ეს სცენა ვაგონში ერთი უშესანიშნავესი ადგილია მთელ ფილმში. აი სამი გლეხი, რომლებსაც ტვერის გუბერნიის დამშეული სოფლებისათვის მიაქვთ სამი ვაგონი პური. ისინი სახალხო კომისარს სთხოვენ ნება დართოს წაიღონ პური. ერთი გლეხი მუდარით ცდილობს ნებართვის მიღებას. მათ ხომ დოკუმენტები წესიერად აქვთ გაფორმებული. მაგრამ მოსკოვს პური უნდა. სტალინმა დაარწმუნა გლეხები, რომ პური სამშობლოსათვის არის საჭირო. გლეხები ერთბაშად დაეთანხმნენ მას. სახალხო კომისრის განკარგულებაში გადასცეს სამი ვაგონი, მაგრამ კომისარმა ერთი ვაგონი პური მათვე დაუბრუნა, ორი ვაგონი კი მოსკოვში გაგზავნა.

ცარიცინი მტკიცდება. სპეკულაციას, რომელიც ქალაქში დიდად არის გავრცელებული, თანდათან გზა ეჭრება, მისი ფრთების გაშლა ძნელი ხდება.

ვოროშილოვის არმია ცარიცინს უახლოვდება, მაგრამ ქალაქისაკენ მიმავალ გზაზე მტერმა უზარმაზარი და ერთადერთი ხიდი ააფეთქა. საჭიროა მისი აღდგენა. სამხედრო ინჟინერი ნახევარ წელიწადს მოითხოვს ხიდის აღსადგენად. ვოროშილოვი აძლევს ორი კვირის ვადას. შესანიშნავია შუა გაპობილი უზარმაზარი ხიდის ნაპრალთან ვოროშილოვისა და სამხედრო ინჟინრის დიალოგი. ინჟინერი ამტკიცებს, რომ უნდა დავემორჩილოთ მასალათა წინააღმდეგობასო, ვოროშილოვი შენიშნავს: „მასალაც სწორედ ასევე უნდა დაემორჩილოს რევოლუციას". ხიდის მეორე ნაპირიდან მოდის ჯავშნიანი ავტომობილი, სტალინის მიერ გამოგზავნილი. ორი კვირის შემდეგ ვოროშილოვის არმია განაგრძობს ძლევამოსილ გზას, რომელსაც ვერ აჩერებს ვერავითარი მამონტოვი. ცარიცინში ერთმანეთს ხვდებიან სტალინი და ვოროშილოვი. ისინი ბოლშევიკური სიყვარულით მეგობრულად ეხვევიან ერთმანეთს და ამით მთავრდება „ცარიცინის დაცვის" პირველი სერია.

ამ შესანიშნავ ფილმში ერთერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს დონელ ყაზახს მარტინ პერჩიხინს. იგი „ნებაყოფლობით მიეწერა საბჭოთა ხელისუფლებას". მსახიობმა ჟაროვმა ისეთი მიმზიდველი, უშუალობით გამთბარი სახე შექმნა, რომ მაყურებელს არ შეიძლება დაავიწყდეს პერჩიხინის გმირობა (იგი ტყვიების ცეცხლში ცხენით მიიჭრა ვოროშილოვის ტყვიამფრქვევთან და ბოლომდე მასთან დარჩა), მისი გულწრფელი ხუმრობა და კალამბურები, მისი გულუბრყვილობა (ვაგონში, როცა სტალინს საბრძოლო ეპიზოდს უყვება, უნებლიეთ ისე მაგრად დაჰკრავს ხელს მაგიდას, რომ წყლიანი გრაფინი კინაღამ გატყდა). ჩვენ გვხიბლავს და გვიზიდავს პერჩიხინი. ჩვენ მასთან ერთად განვიცდით მის უბედურებასაც. აი ვოროშილოვი და პერჩიხინი დგანან დანაცრებულ სახლთან. ეს პერჩიხინის სახლია. იგი მტრებმა გადასწვეს. პერჩიხინმა აიღო სახსოვარი თავისი სახლის ფერფლიდან. ცხვირსახოცში შეახვია. იგი ხშირად უყურებს მას და კიდევ უფრო ენთება ბრძოლის სურვილით. ამ სურათს ჩვენ უნებლიეთ გადმოვყავართ დღევანდლობაში, სამამულო ომის ვითარებაში. ბევრი ბავშვი, ქალი, მოხუცი და ახალგაზრდა პერჩიხინივით უყურებენ ახლა პირსისხლიანი ფაშისტების მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიებზე დანაცრებულ სახლებს. და მათ გულში კიდევ უფრო ძლიერად ენთება სიძულვილი ვერაგი მტრისადმი. მათ გულში კიდევ უფრო მტკიცდება თავდადებული ბრძოლის იდეა სამშობლოს განთავისუფლებისათვის. „ცარიცინის დაცვა" პატრიოტიზმის დიად გრძნობას უძლიერებს მაყურებელს. იგი ბრძოლისა და გამარჯვების გმირული პოემაა, რომელიც ეკრანიდან გვიმღერის დიდი სტალინის მხედართმთავრობით ახალ გამარჯვებათა სასიხარულო ჰანგებს!

ამაშია ამ ისტორიული ფილმის შთამაგონებელი ძალა და მისი მხატვრული ღირებულების უდიდესი მნიშვნელობა.

გ. ჯიბლაძე

პროფკავშირების სასპორტო-მასობრივი ღონისძიებანი

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ დაამტკიცა პროფკავშირების 1942 წლის სასპორტო-მასობრივ ღონისძიებათა გეგმა.

გარდა პროფკავშირული კროსისა, რომელიც 7-21 ივნისს შესდგება, პროფკავშირთა სასპორტო საზოგადოებანი ივლისში მოაწყობენ ფაბრიკა-ქარხნების კომპლექსურ სპარტაკიადებს მძლეოსნობაში, ცურვაში, ფეხბურთში, კალათბურთსა და ფრენბურთში. ივლისშივე მოეწყობა მასობრივი საგუნდო შეჯიბრება წყლის გაცურვაში.

აგვისტოში [illegible] ... თულ ბრძოლაში და [illegible] ლახვაში. ოქტომბრისათვის დასახულია ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავისადმი მიძღვნილი პროფკავშირულ-კომკავშირული გასამხედროებული კროსი. ნოემბერში განზრახულია შეჯიბრება სასპორტო საზოგადოებათა გიმნასტურ მრავალჭიდში და საქალაქო საგუნდო შეჯიბრება მძლეოსნობასა, ცურვასა და სასპორტო თამაშობაში.

პროფკავშირულ-კომკავშირული საზაფხულო კროსი

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და საკ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს 1942 წლის 7-დან 21 ივნისამდე ჩაატარონ მეორე პროფკავშირულ-კომკავშირული საზაფხულო კროსი, როგორც მასობრივი ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმას სამხედრო-ფიზიკურ მომზადებაში.

კროსის ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. რომანოვის თავმჯდომარეობით. რაიონებსა, ქალაქებსა, ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები იქმნება. (საკდესი).

სსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ჰოსპიტალური საბჭოს პირველი პლენუმი

5 მაისს გაიხსნა სსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ევაკჰოსპიტლების მთავარ სამმართველოსთან არსებული ჰოსპიტალური საბჭოს პირველი პლენუმის სხდომა.

თათბირში მონაწილეობას იღებენ მოკავშირე რესპუბლიკების, სამხარეო და საოლქო ჯანმრთელობის განყოფილებათა ევაკჰოსპიტლების სამმართველოთა უფროსები, მთავარი ქირურგები, ცნობილი პროფესორები, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სანიტარული სამმართველოების, პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს, რსფსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის, ფიზკულტურის საქმეთა საკავშირო კომიტეტის, დაჭრილთა დამხმარე კომიტეტების და წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელნი და სხვ.

დღის წესრიგის მთავარი საკითხია ჰოსპიტლების სამკურნალო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება. სამკურნალო საქმის დაყენების ზოგადი საკითხების განხილვასთან ერთად მოსმენილ და განხილულ იქნება სპეციალური მოხსენებანი კიდურთა ნატყვიარი ჭრილობების, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანების და ყბისა და სახის ჭრილობათა მკურნალობის შესახებ.

პლენუმი განიხილავს აგრეთვე მოხსენებებს სპეციალიზებული ჰოსპიტლების, სპეციალური სახის სამედიცინო დახმარების (სამკურნალო კვება, ფიზკულტურა და სხვ.) მოწყობის შესახებ და მოხსენებებს პროტეზირების დაყენების შესახებ. მთელი რიგი მოხსენებები მიძღვნილი იქნება იმ მუშაობისადმი, რომელსაც საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეწევიან ევაკჰოსპიტლების დასახმარებლად.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა ბელად ამხანაგ **სტალინისადმი.**

პლენუმი რამდენიმე დღეს გასტანს.

(საკდესი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

28 აპრილს აკადემიკოს ა. ჯანელიძის თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების მორიგი სამეცნიერო სესია.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ქიმიური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლების ორი მოხსენება — ა. გახოკიძისა — „მირზაანისა და სუფსის ნავთობის შესახებ" და ლ. მელიქაძისა—„ნორიოს ნავთობის შესახებ".

მომხსენებლებმა სესიას გააცნეს ის მნიშვნელოვანი დასკვნები, რომლებიც მათ მიიღეს ზემოხსენებულ ნავთობთა შესწავლის შედეგად.

მირზაანის ნავთობი არის ერთგვაროვანი, მსუბუქი ტიპის, ხოლო სუფსის ნავთობი მრავალგვაროვანია და უმთავრესად მძიმე ტიპისაა. ორივე საბადოს ნავთობი შეიცავს გოგირდის უმნიშვნელო პროცენტს და არ მოითხოვს სპეციალურ დაწმენდას, რაც მის დიდ ღირსებას შეადგენს.

მირზაანის ნავთობი იძლევა მსუბუქი ფრაქციების ყველა სახის პროდუქტს—ბენზინს, ლიგროინს, ნავთს და თავისი ხარისხით ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. სუფსის ნავთობი მსუბუქი ფრაქციების გამოსავლიანობის მხრივ საბჭოთა კავშირის სხვა ანალოგიურ ნავთობებზე გაცილებით მაღლა დგას. ნორიოს ნავთობს ახასიათებს ბენზინის, ლიგროინისა და ნავთის დიდი გამოსავლიანობა. საავიაციო ბენზინის გამოსავლიანობისა და მაღალი სასაბობო თვისებების მხრივ ნორიოს ნავთობი უნიკალურია საბჭოთა კავშირში.

29 აპრილის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა 4 მოხსენება.

ქიმიური ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა კ. არეშიძემ გააკეთა მოხსენება თემაზე: „მირზაანის ბენზინის გაკეთილშობილება დეჰიდროგენიზაციული კატალიზის გზით".

— ამჟამად, — სთქვა მომხსენებელმა, — საავიაციო ბენზინს განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ, რომლებსაც ვერ აკმაყოფილებს უშუალო გამოხდის გზით მიღებული ბენზინი. მირზაანის ბენზინის დეჰიდროგენიზაციის ცდებმა კარგი შედეგები მოგვცა.

მოხსენებით „ნორიოს ნავთობის საბადოთა წყლების გამოკვლევის შედეგების შესახებ" გამოვიდა ქიმიური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი პ. გოგორიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ ნორიოს ბურღვის წყლები მდიდარია იოდით, ბრომითა და სუფრის მარილით. მომხსენებელმა წამოაყენა საკითხი იმის შესახებ, რომ, იოდისა და ბრომის გარდა, მარილიც იქნას მიღებული ორთქლებში ამ წყლების უბრალო აორთქლების გზით.

საყურადღებო მოხსენება „იოდის მიღება ნავთობის ჭაბურღილების წყლებისაგან" — გააკეთა ამავე ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა დ. ერისთავმა, რომელმაც შეიმუშავა ნავთობის ჭაბურღილების წყლებისაგან იოდის მიღების ორიგინალური მეთოდი. ეს მეთოდი მნიშვნელოვნად ამარტივებს ტექნოლოგიურ პროცესს. ამჟამად მიმდინარეობს მონტაჟი ნახევრად საქარხნო დანადგარისა დ. ერისთავის მეთოდით ჭაბურღილის წყლებისაგან იოდის მისაპოვებლად.

დასასრულ სესიამ მოისმინა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის გ. ციციშვილის მოხსენება თემაზე: „ნიკელის, კობალტისა და რკინის იონების ადსორბცია საქართველოს ბენტონიტური თიხებით".

ს. ფლორის ერთდროული თამაშის სეანსი

5 მაისს სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში შესდგა გროსმაისტერ ს. ფლორის მეორე გამოსვლა. გროსმაისტერმა ერთდროული თამაშის დაწყების წინ წაიკითხა ლექცია თემაზე: „ბრძოლა მსოფლიო საჭადრაკო პირველობისათვის". საღამოს დასასრულ ფლორმა 40 დაფაზე ჩაატარა ერთდროული თამაშის საერთო-საქალაქო სეანსი.

სეანსში ს. ფლორთან ითამაშა მთელმა რიგმა ძლიერმა მოჭადრაკეებმა. რამდენიმე საათის დაძაბული თამაშის შედეგად გროსმაისტერმა 20 პარტია მოიგო, 12 ყაიმით დაამთავრა და 8 წააგო. პარტიები მოიგეს ქ. ხენკოვამ, ლ. გერშკოვიჩმა, ვ. აგამალიანმა, მალახოვსკიმ, ტ. ვადაჭკორიამ, სემიონოვმა, ი. ტკაჩენკომ და ვ. ბრავინსკიმ.

ს. ფლორის შემდეგი გამოსვლა შესდგება 9 მაისს წითელი არმიის თბილისის საოლქო სახლში.

„ბოშათა ბარონი" საოპერო თეატრის სცენაზე

8 მაისს ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი მაყურებელს უჩვენებს ი. შტრაუსის კლასიკურ ოპერეტას „ბოშათა ბარონი". „ბოშათა ბარონი" პირველად დაიდგა 1935 წ. დადგა რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა ვ. ბებუთოვმა.

ახლანდელ დადგმაში შენარჩუნებულია პირვანდელი რედაქცია. სპექტაკლი განაახლა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ალ. წუწუნავამ, დირიჟორობს ა. სტასევიჩი, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის პროფ. ვ. სიდამონ-ერისთავს, ცეკვები დადგმულია დამსახურებულ არტისტ ვ. ლიტვინენკოს მიერ.

მთავარ როლებს ასრულებენ ე. გოსტენინა (საფი), ნ. ხარაძე (არსენა), ლ. კავსაძე (ზუპანი), ვ. ლიტვინენკო (გრაფი ომონაი), ნ. ბელაკნელი (ბარინკაი), მ. სუხიაშვილი (ციპრა), ე. ბელქანია (მირაბელა), ვ. გალანოვა (ოტოკარ), ი. მოლჩანოვი (კარნერო).

ცეკვებში მონაწილეობენ ე. საფაროვა, ო. მაჩაბელი, ე. რობენი, ვ. ლიტვინენკო, ზ. კიკალეიშვილი და სხვ.

„გრიგალი" მარჯანიშვილის თეატრის პრემიერა

8 მაისს მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მორიგ პრემიერად დგამს ბ. გამრეკელის პიესას „გრიგალი". პიესა დაწერილია სამამულო ომის თემაზე და გვიხატავს სახელოვანი წითელი არმიის გმირ მებრძოლებს, მათ საგმირო საქმეებს.

პიესა დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა შ. ღამბაშიძემ, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ე. ახვლედიანს, მუსიკა — ა. კერესელიძეს. მთავარ როლებს ასრულებენ: ქ. კვანტალიანი, გ. კოპტაევა, ა. ომიაძე, მ. მგელაძე, ე. სიბილა, ქ. დოლიძე, შ. ჯაფარიძე, ა. გომელაური, ი. ქოქრაშვილი, შ. გოცირელი, ნ. ანთაძე, ლ. შატბერაშვილი და სხვ.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. და **სპარტაკი**—„ცარიცინის დაცვა", **ოქტომბერი** — „ბელა", **კომკავშირელი** — „მასკარადი", **ლუქსემბურგის** სახ. —„მესაზღვრეები", **26 კომ. სახ.** და **კომინტერნი**—„ზღვის ქორი".

ლექციები და მოხსენებები

7 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის სხდომათა დარბაზში შესდგება პროფესორ **ტალახაძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) მოლოტოვის სახელობის რაიაგიტპუნქტში.

8 მაისს, საღამოს 8 საათზე, ინდუსტრიული ტექნიკუმის დარბაზში (კამოს ქ. № 79) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია თემაზე: **„დიდი სამამულო ომის მიმდინარე მომენტები".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში.

8 მაისს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 41) შესდგება პროფესორ **ათაბეკოვის** მოხსენება რუსულ ენაზე. თემა: **„ომი წყნარ ოკეანეში".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში (ლენინის ქ. № 41) დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

საჯარო ბიბლიოთეკაში

8 მაის, საღამოს 8 საათზე, საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის სალექციო დარბაზში ამხ. **ნ. მახარაძე** ჩაატარებს კოლექტიურ კონსულტაციას თემაზე: **„ჰიტლერის არმიის რეზერვები ილევა, წითელი არმიის რეზერვები კი იზრდება".**

შესვლა თავისუფალია.

თეატრებში

სახოპერა — 7 მაისს—„პიკის ქალი". **რუსთაველის სახელობის** — 7 მაისს—„კიკვიძე", 8 მაისს—„ფლანდრია". **მარჯანიშვილის სახელობის** — 7 მაისს—„მეფე ერეკლე", 8 და 9 მაისს—„გრიგალი" (პრემიერა). **მუსიკალური კომედიის** —7 მაისს—„ხაჯარათი", 8 მაისს—„როზ-მარი". **სანკულტურის** — 7 მაისს—„აჯილდა", 9 მაისს — „გმირი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

8 და 9 მაისს **პრემიერა**

ბ. გამრეკელი (რესპ. დამსახ. არტისტი)

გრიგალი

პიესა 3 მოქმედებად და 6 სურათად

დადგმა შ. ღამბაშიძისა (რესპ. სახ. არტისტი), მხატვარი ელ. ახვლედიანი, კომპოზიტორი ა. კერესელიძე.

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

საქ. სამხატვრო მრეწველობის ტრესტის თანამშრომლები იუწყებიან **მარიამ პავლეს-ასულ ხეჩინოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7/V 8 ს. დაკრძალვა 8/V, 6 ს. გამოსვენება ვარდისუბნის ქ. № 32/44.

საქ. სსრ ჯანსახკომის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის I ქირურგიული კლინიკის ადმინისტრაცია და ექიმები იუწყებიან ექიმ **მარიამ სიმონის-ასულ ბაქრაძე-დედაბრიშვილის** გარდაცვალებას.

553

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

უე 7641